საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-427

21/05/2020

ქ. თბილისი

„შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის მდ. ჭოროხზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 5 იანვრის №ი-11 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2020 წლის 13 მაისს სამინისტროს მომართა შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის დირექტორმა და ითხოვა 2012 წლის 4 იანვარს გაცემული №2 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2012 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის „მდ. ჭოროხზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის განთავსების“ პროექტზე გაიცა №2 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. პროექტში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, სამინისტროს მიერ „მდ. ჭოროხზე 48 მგვტ. სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ხელვაჩაური 1 ჰესი) პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებულ მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტზე 2014 წლის 26 აპრილს გაიცა №36 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო „კირნათი ჰესის პროექტში შეტანილ ცვლილებებთან (კაშხლის სიმაღლის გაზრდა) დაკავშირებულ მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტზე 2014 წლის 9 ოქტომბერს გაიცა №50 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი წერილის თანახმად, ჰიდროელექტროსადგურების კასკადი ფუნქციონირებს 2014 წელს გაცემული №36 და №50 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს 2012 წლის 4 იანვრის №2 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის მდ. ჭოროხზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 5 იანვრის №ი-11 ბრძანება;

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი